

сталкиваются с серьезными проблемами при конкуренции с продукцией, произведенной иностранными предприятиями с многолетним опытом. В связи этим возникла необходимость в проведении умеренной и временной протекционистской политики, поскольку с течением времени производственные затраты могут снизиться и стать относительно более конкурентными, чему может способствовать также сегодняшняя девальвация драма.

В целях регулирования платежного баланса необходимы как местные, так и иностранные инвестиции. Следует отметить, что в счете движения капитала и финансов очень низок удельный вес портфельных инвестиций, что обусловлено также неразвитостью рынка ценных бумаг Армении. Приток капитала осуществляется в основном в виде прямых иностранных инвестиций (ПИИ). Для повышения эффективности ПИИ необходимо их целенаправленно перераспределять в областях экономической деятельности, имеющих высокий экспортный потенциал, а именно, в легкой, химической, горнорудной, пищевой и сельскохозяйственной обрабатывающей промышленности.



უილიამ პეტტი- «კონომიკური კოლუზიები»

ავთანდილ სილაგაძე, ემდ, პროფესორი, საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპოდენტი
კარლო ლურჯაია, ემდ, სტუ სრული პროფესორი
რევაზ შენგელია, ემდ, სტუ პროფესორი
ზურაბ ვაშაკიძე, ემდ, სტუ პროფესორი

ეკონომიკური აზროვნება ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს მომენტალურად ეხმაურება. თუმცა, XVII საუკუნეში მიმდინარე რევოლუციურ ცვლილებებს ასე წელი დასჭირდა, რომ სრულად გაეცნობიერებინათ ის მოვლენები, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა და რომლის მონმენიც თავად იყვნენ.

კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ შეიცვალა ეკონომიკური აზროვნებაც: კვლევის აქცენტმა ვაჭრობიდან წარმოებაზე გადაინაცვლა.

ეკონომიკური აზროვნების ასეთი განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად გამოვლინდა. ღირებულების პრობლემათა კვლევა ინგლისში, იტალიასა და საფრანგეთში ეკონომიკური მეცნიერების ანალიზის ცენტრში მოექცა.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, რომელმაც ნიადაგი მოამზადა კლასიკური სისტემისათვის, იყო უილიამ პეტტი. უილიამ პეტტმა თავისი ეკონომიკური ნაშრომებით უზრუნველყო ეკონომიკური მეცნიერების მწირი მერკანტილური ინტერესებისაგან განთავისუფლება. ეს განასხვავებდა მას XVII საუკუნის სხვა ეკონომისტებისაგან. მისი ეკონომიკური ნაშრომები ასე წლის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პეტტის წვლილი ზოგად ეკონომიკურ აზროვნებაში. ამ მიმართულებით მისი მთავარი ნაშ-

რომეზია: „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ (1662 წ.), „სიტყვა ბრძენებს“ (1665 წ.), „ირლანდიის პოლიტიკური ანატომია“ (დაინერა 1672 წ.-ს, დაიბეჭდა 1691 წ.-ს), „ზოგი რამ ფულის შესახებ“ (დაინერა 1682 წ.-ს, დაიბეჭდა 1695 წ.-ს).

უ. პეტტი ითვლება კლასიკური ეკონომიკური დოქტრინის ფუძემდებლად. ასე მაგალითად, მაკლოხი მას შრომითი ღირებულების თეორიის ფუძემდებლად მიიჩნევდა. უ. პეტტიზე, როგორც პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელზე, ხაზგასმით მიუთითებდნენ კ. მარქსი ნაშრომებში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „კაპიტალი“, ფ. ენგელსი „ანტიდიურიზმი“. ამასთან, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით (მაგ., შუმპეტერი), უ., პეტტი არ არის შრომითი ღირებულების დოქტრინის ფუძემდებელი. ზოგიერთის მიერ იგი მხოლოდ მერკანტილიზმის ერთ-ერთ ნარმოდგენლად დასახელებული.

ქართულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ მშვენიერი საჩუქარი მიიღო. კერძოდ, 2011 წ. დოქტორმა მერაბ მიქელაშვილმა თარგმნა უ. პეტტის ნაშრომი „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“.

აღნიშნული ნაშრომი უ. პეტტის ერთ-ერთი პირველი და უმთავრესი ნაშრომია. ეს ფაქტი მეტად სასიხარულოა, რადგან ქართული ეკონომიკური ლიტერატურა ქართულ ენაზე უცხოელი კლასიკოსების ნაშრომების ნაკლებობას განიცდის. გარდა მარქსისტული ლიტერატურისა, თითქმის არ არის ქართულ ენაზე ნარმოდგენილი კლასიკოსების და XX საუკუნის გამოჩენილი ეკონომისტების ნაშრომები. მ. მიქელაშვილის ეს ინიციატივა მისასალმებელია და, ჩვენი აზრით, ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საქმიანობას.

ჩვენ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ ამ საინტერესო ნაშრომში დასმულ ეკონომიკურ პრობლემებს და, საერთოდ, უ. პეტტის შეხედულებებს, რომლებიც თანამედროვე სინამდვილეში აქტუალურობას არ კარგავს.

სახელმწიფო ფინანსებით უ. პეტტის დაინტერესება შემოსავლის ზრდის ფეოდალური მეთოდების მოძველებამ და ეროვნული დაბეგვრის სისტემათა კვლევაზე აქცენტირებამ განაპირობა. არსებული პრობლემები დღის წესრიგში ღირებულებისა და სიმდიდ-

რის საკითხთა კვლევის აუცილებლობას აყენებდა.

ნარმოდგენილ ნაშრომში სახელმწიფო შემოსავლების წყაროებზე, ხარჯების ფორმებზე პირველად უკვე პირდაპირი მსჯელობა იყო.

უ. პეტტის შეხედულებები სახელმწიფო ფინანსების შესახებ მეტად მნიშვნელოვანია მომავალი განვითარებისათვის. იგი ეთანხმება მათ, ვინც გადასახადების პრობლემათა კვლევის აქტუალურობას აღიარებს, მაგრამ გრძნობს რომ გადასახადების პრინციპები ხშირად არ უნდა იცვლებოდეს. უფრო მეტი, გადასახადების ძალით ამოღება შეუძლებელია. სახელმწიფომ ასეთ გზას ხშირად არ უნდა მიმართოს. მისი შეხედულებით, გონივრულად დახარჯული ფული ვაჭრობასა და მრეწველობის განვითარებას წახალისებს და ამის შედეგად ფულადი სახსრები ხალხის ჯიბეებს გაზრდილი რაოდენობით დაუბრუნდება.

პეტტი სახელმწიფო მოხელეებისაგან სახელმწიფო ფულადი სახსრების გონივრულად ხარჯვას მოითხოვდა. იგი კიცხავდა ძვირადღირებული ომების და ჭარბი სახელმწიფო შტატების არსებობას. ამავე დროს, უმუშევართათვის სახელმწიფო სახსრების გამოყოფას მოითხოვდა, ვინაიდან ისინი, როგორც თვითონ ამბობდა, დასაქმების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ.

მზარდი გადასახადების შესახებ პეტტის მოსაზრებებში ჰობზის ფილოსოფიის ზეგავლენა იგრძნობოდა. იგი გულწრფელად აღიარებდა ინდივიდუალურ ინსტიტუტებს და ყურადღებას საკუთრებაზე ამახვილებდა. მისი აზრით, ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ინდივიდის საკუთრება. სამაგიეროდ, ინდივიდმაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქონების პროპორციულად ხელისუფლების დანახარჯებში.

პეტტის შეხედულებით, გაზრდილი გადასახადი სახელმწიფოს ზედმეტად ხელგაშლილობას უკავშირდება და იგი მოსახლეობის გადახდისუნარიანობის გამო არასამართლიანია. მისი აზრით გადასახადი შემოსავლის პროპორციული უნდა იყოს.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, პეტტი ჩაერთო ყველაზე დახლართულ ეკონომიკურ ანალიზში. ტრაქტატში ავტორმა გადასახადების აკრეფის განსხვავებული გზები მოსინჯა.

ამ ნაშრომში უ. პეტტი შეეხო აგრეთვე ფასნარმოქმის პრობ-

ლემას. იგი ამ საკითხზე თავის შეხედულებებს აყალიბებს. განსაკუთრებით შეეხო იგი მიწის ფასის პრობლემას. თუმცა ამ საკითხის განხილვისას იგი არ იყო დაზღვეული შეცდომებისგან.

ამასთან, უ. პეტის ნაშრომები წარმოადგენენ ტერმინებისა და კონცეფციების უხვ წყაროს, რომელთა გათვალისწინება ხდებოდა მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში. „სრული დასაქმება“ და „ყველა სხვა თანაბარ პირობებში“ სწორედ პეტის ტერმინებია: იდეა იმის შესახებ, რომ ეროვნული შემოსავალი ტოლია ეროვნული ხარჯებისა; საზოგადოებრივი სამუშაოები, როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის მეთოდი; მიწა და შრომა, როგორც წარმოების პირველადი ფაქტორები; გაზომვის ზოგადი ერთეულის ცნება, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიწის და შრომის პროდუქტის კონვერტაცია; მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, როგორც ეროვნული აყვავების კრიტერიუმი; მსჯელობა იმაზე, რომ გადასახადები ხარჯების პროპორციული უნდა იყოს და არა შემოსავლებისა. ამასთან, ის უნდა იყოს ნეიტრალური სიმდიდრის გადანაწილებასთან მიმართებაში; საგარეო ვაჭრობის სარგებლიანობის შეფასებები სპეციალიზაციისა და შრომის ტერიტორიული დაყოფის ტერმინების გამოყენებით. პეტის იდეები უაღრესად მრავალფეროვანია. ის ახდენდა იდეების გენერირებას, რაც ეკონომიკის ყველა ასპექტს მოიცავდა.

უილიამ პეტის აღნიშნული ნაშრომის თარგმანი ქართულ ენაზე, ჩვენი აზრით, არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ქართულ ეკონომიკურ აზრს არ დაუკარგავს ინტერესი XXI საუკუნეში კლასიკური სკოლის მიმართ და ვფიქრობთ, რომ დოქტორი მერაბ მიქელაშვილი გააგრძელებს ამ კუთხით მოღვაწეობას და მას ამ საქმეში ხელს შეუწყობს ქართული საუნივერსიტეტო საზოგადოება.



SUMMARY



Vahan Gevush Baghdasaryan's article is about “Tax Relations In Reform”.

Most domestic and foreign researchers believe in the present tax system while RA does not contribute to stabilization and economic development of the country. Taxpayers - both legal entities and individuals find the tax burden too heavy, and this leads to the lower economic activity, to a weakening of incentives for economic activity, the development of the practice of illegal tax evasion.

While existing high levels of production and living standards, there can be gradually introduced a neutral taxation. The State of the Armenian economy imbalances in the development of regional branches of the economy; Low living standards, a sharp social stratification does not necessitate neutrality (proportionality), and differentiation (progressive) in taxation. The main purpose of the tax reform should be the effectiveness of the tax system, rather than neutrality.

* * *

Maia Giorgobiani, Guram Metekheli's article is “About the Ascertaining the Correlation between the Indexes of the Academic Personnel's Salary and the Cost and Value of Teaching Students”. The Authors have discussed how tuition fee can be reduced by 70% compared to objective reality. At that time, many students' social status can be significantly improved.

* * *

The Author-**Lia Dzebisauri** in her article discusses “Problems of Mirror Comparison in Georgian External Trade Statistics”. As the process of globalization deepens, asymmetry in international trade statistics continues to be of great concern to trade statisticians and policy makers alike, despite the fact that international trade in goods - especially manufacturing goods - and services is increasing between countries. In general, as far as trade statistics are concerned, one would expect to see symmetric patterns between countries, that is, the amount that country A exports to